მწვანე ალტერნატივა
0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org

18 აპრილი, 2018
04/03-614

საქართველოს მთავრობას

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა
ს/კ: 204952676

ადმინისტრაციული საჩივარი

გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის ბრძანება #2-117 „შპს „თათლი“-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა:

- ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის ბრძანება #2-117 „შპს „თათლი“-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა:

1. 2017 წლის 29 ნოემბერს შპს „თათლის“ დირექტორმა წერილით მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს და აცნობა, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, 2018 წლის 25 იანვარს გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართებოდა „შპს „თათლის“ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს პროექტის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა. ასევე, წერილის თანახმად, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად საინფორმაციოდ (წინასწარი განხილვის მიზნით)“ კომპანიამ სამინისტროს წარუდგინა პროექტის გზშ ანგარიში, საჯარო განხილვის

შესახებ გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებული განცხადება, პროექტის გზშ ანგარიშის ტექნიკური და არატექნიკური რეზიუმე და ანგარიშების ელექტრონული ვერსია.

მტკიცებულება - დანართი #1. - შპს „თათლის“ დირექტორის 2017 წლის 29 ნოემბრის წერილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს.

2. 2018 წლის 7 თებერვალს შპს „თათლის“ დირექტორმა წერილით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს და მოითხოვა გარდაბნის რაიონის სოფელ აღთაკლიში ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ამოღებული ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს ექსპლოატაციის პირობების შეცვლასთან დაკავშირებით საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება. წერილის თანახმად, შპს „თათლის“ დირექტორი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოითხოვდა.

მტკიცებულება - დანართი #2. - - შპს „თათლის“ დირექტორის 2018 წლის 7 თებერვლის წერილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს.

3. 2018 წლის 1 მარტს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება #2-117. ბრძანების თანახმად, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დამტკიცდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №8; 22.02.2018 და საქმიანობის განხორციელების უფლება მიენიჭა შპს „თათლი“-ს ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე (გარდაბნის რაიონი, სოფელი აღთაკლია (ს/კ 81.06.00.333));.

მტკიცებულება - დანართი #3. - შპს „თათლი“-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის #2-117 2018 წლის 1 მარტის ბრძანება.

4. ჩვენი 2018 წლის 6 მარტის №04/03-596 წერილის პასუხად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 20 მარტის N 2144/01 წერილით გადმოგვეცა შპს ,,თათლი''-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე'' გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის #2-117 ბრძანება და ამ

ბრძანებისთვის გამოცემისთვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ამსახველი დოკუმენტაცია; ასევე, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს-ს მიერ საჯარო განხილვის მიზნით გამოქვეყნებული დოკუმენტაცია.

მტკიცებულება - დანართი #4 - მწვანე ალტერნატივას 2018 წლის 6 მარტის №04/03-596 წერილი და დანართი #5 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 2018 წლის 20 მარტის N 2144/01 წერილი.

საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

*****

2. სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. გასაჩივრებული - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის ბრძანება #2-117 ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, ვინაიდან გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ადმინისტრაციულ კანონმდებლობაზე მითითებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ამ მმართველობითი ღონისძიების შედეგად დამტკიცებულია - შპს „თათლი“-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

სზაკ-ის 180.1 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში. ამავე კოდექსის 178.2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს განსახილველ შემთხვევაში წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, სადაც ზემოაღნიშნული გასაჩივრების ვადის დაცვით წარმოდგენილია წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივარი.

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის თებერვლის ბრძანება #2-117 გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც დასახელებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა იქნას ცნობილი სზაკ-ის მე-60 პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად შემდეგ გარემოებათა გამო:

*****

ადმინისტრაციულმა ორგანომ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის ბრძანება #2-117 – „შპს „თათლი“-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ გამოცემისას დაარღვია:

3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი:

3.1 საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის #2-117 ბრძანების თანახმად, „შპს „თათლი“-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანომ სრულიად უსაფუძვლოდ გამოიყენა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილი. „გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის“ 48 მუხლის თანახმად, „2018 წლის 1 იანვრამდე „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2018 წლის 1 იანვრამდე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის დადგენილი წესით“.

მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა ამ ნორმის გამოყენების საფუძველი, ვინაიდან როგორც წარმოდგენილი ადმინისტრაციული წარმოების მასალებიდან ნათლად ჩანს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო - შპს „თათლის“ დირექტორის 2018 წლის 7 თებერვლის წერილის საფუძველზე, ანუ 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ.

3.2. მე-6 მუხლის 1 ნაწილის (ა) ქვეპუნქტი, (გ) ქვეპუნქტი და (ე) ქვეპუნქტი. კერძოდ:
ა) პროექტს უნდა გაევლო ამ კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა, რასაც ადგილი არ ქონია. აღნიშული მიუთითებს **კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლების** დარღვევაზეც;
გ) საზოგადოების მონაწილეობა - გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა არ ყოფილა უზრუნველყოფილი. 2018 წლის 5 იანვარს ჩატარებული განხილვა იყო საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ინიცირებული და კავშირი არ ჰქონია გადაწყვეტილების მიღების პროცესთან იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ (1) საქმიანობის განმახორციელებელს ჯერ ჰქონდა მიმართული ადმინისტრაციული ორგანოსათვის გადაწყვეტილების მისაღებად და შესაბამისად, (2) ადმინისტრაციული წარმოება გადაწყვეტილების მიღებისათვის ჯერ არ იყო დაწყებული.
ე) ექსპერტიზის ჩატარება ამ **კოდექსის VI თავის შესაბამისად**- ეკოლოგიური ექსპერტიზის სრულფასოვნად ჩატარების დამადასტურებელი მტკიცებულება (მათ შორის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) სამინისტროს მიერ მოწოდებულ მასალებში არ მოიპოვება.

3.3. მე-6 მუხლის 2 ნაწილი, რომლის თანახმად, მინისტრი გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას გასცემს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ეტაპების დასრულების შემდეგ - როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროექტს არ გაუვლია მე-6 მუხლის 1 პუნქტით დადგენილი ეტაპები.

3.4. მუხლი 12. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება - ამ მუხლით დადგენილი არცერთი მოთხოვნა დაცული არ ყოფილა.

სრულად უგულებელყოფილია კოდექსის IV თავის მოთხოვნები ამ კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით.

4. „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, რომლის თანახმად მოქალაქეს უფლება აქვს: ვ) მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვის სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების განხილვისა და მიღების პროცესში. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოებას არ მიეცა გასაჩივრებული აქტის გამოცემის პროცესში ჩართვის შესაძლებლობა.

5. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში

მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის პირველი, მესამე და მეექვსე მუხლების მოთხოვნა. კერძოდ: „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის 1. მუხლის თანახმად, „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ახლანდელი და მომავალი თაობების ყოველი ადამიანის უფლება იცხოვროს საკუთარი ჯანმრთელობის და კეთილდღეობისათვის შესაფერის გარემოში, ამ კონვენციის დებულების შესაბამისად ყველა მხარე იძლევა საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლების გარანტიას“.

კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ყოველი მხარე ეცდება უზრუნველყოს, რომ ოფიციალურმა პირებმა და ხელისუფლების ორგანოებმა წარმართონ და ხელი შეუწყონ საზოგადოებას, რათა მათთვის ხელმისაწვდომი გახადონ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, გაუადვილონ გარემოს დაცვის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა და ხელმისაწვდომი გახადონ სამართალწარმოება“; ხოლო იმავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებების ფარგლებში საზოგადოებას ექნება გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მართლმსაჯულების საკითხების მოპოვების და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, სად არის რეგისტრირებული მათი სამყოფელი ან სად ეწევიან ფაქტიურ საქმიანობას“.

კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, დაინტერესებული საზოგადოება ადეკვატურად, დროულად და ეფექტურად უნდა იყოს ინფორმირებული საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური შეტყობინების მეშვეობით (გარემოებათა გათვალისწინებით) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის საწყის ეტაპზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ზემოთჩამოთვლილი დებულებების არ გამოყენების შესაძლებლობას - „თუ ეს გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება არ გამოიყენოს ამ მუხლის დებულებები იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, თუ ეს მხარე მიიჩნევს, რომ ეს უარყოფით ზეგავლენას იქონიებს ამ მიზნებზე“. როგორც ადმინისტრაციული წარმოების მასალებიდან ირკვევა, დაგეგმილ საქმიანობას არაფერი აქვს საერთო ეროვნულ თავდაცვასთან.

*****

6. წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია ამ კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის კანონით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა (გასაჩივრებული აქტი და მისის გამოცემისთვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების მასალები გადმოგვეცა 2018 წლის 21 მარტს), არ არსებობს ამავე კოდექსის 182-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილია უფლებამოსილ ორგანოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე გთხოვთ:

- მიიღოთ ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში;

- ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის ბრძანება #2-117 „შპს „თათლი"-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ".

საჩივარზე დართული დოკუმენტების ნუსხა:

დანართი #1. - შპს „თათლის" დირექტორის 2017 წლის 29 ნოემბრის წერილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს - 1 ფურცელი;

დანართი #2. - - შპს „თათლის" დირექტორის 2018 წლის 7 თებერვლის წერილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს - 1 ფურცელი;

დანართი #3. - შპს „თათლი"-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის #2-117 2018 წლის 1 მარტის ბრძანება - 5 ფურცელი;

დანართი #4 - მწვანე ალტერნატივას 2018 წლის 6 მარტის №04/03-596 წერილი - 1 ფურცელი;

დანართი #5 გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის 2018 წლის 20 მარტის N 2144/01 წერილი - 2 ფურცელი და 1 კომპაქტური დისკი;

დანართი #6. - ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;

დანართი #7. - რწმუნებულება - 1 ფურცელი.

დანართი სულ: 13 ფურცელი და 1 კომპაქტური დისკი.

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს

ბატონ გიგლა აგულაშვილს

ბატონო ელგუჯა,

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თათლი”, ახორციელებს **გარდაბნის რაიონი, სოფელი აღთაკლია, ს/კ 81.06.00.333, ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ამოღებული ტყვიის სადნობი** და **დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყოების საწარმოო ექსპლოატაციის პირობების შეცვლასთან გამომდინარე** საქმიანობის განხორციელებას.

აღნიშნული საწარმო წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს. 2016 წელს **სააქციო საზოგადოება “ჰეფერ მეთალ დოქუმ სანაი ვე თიჯარეთ”-ს სახელზე** აღნიშნულ საწარმოზე გაცემული იყო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, ხოლო 2017 წლის მაისში მოხდა აღნიშნული ნებართვის გადაცემა **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თათლი”-ზე.**

აღნიშნულ საწარმოში გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემული იყო ერთ მბრუნავ ღუმელზე და მეორე სათადარიგო ღუმელზე, რომელშიც ხორციელდებოდა ტყვიის ჯართისაგან ე.წ. ტყვიის პირველადი სხმულების მიღება, ასევე მიღებული წიდისაგან მეორადი დნობა და შესაბამისად ტყვიის სხმულების მიღება..

,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, 2018 წლის 25 იანვარს 14:00 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. გარდაბანი; დ. აღმაშენებელის ქ. #73), გაიმართება, **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თათლი”-ს ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ამოღებული ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის** დროებითი **დასაწყოების საწარმოს** პროექტის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა. ინფორმაცია საჯარო განხილვის დანიშვნის თაობაზე გამოქვეყნებული იყო გაზეთ “რეზონანსი” 2017 წლის 29 ნოემბრის ნომერში.

,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად საინფორმაციოდ (წინასწარი განხილვის მიზნით) წარმოგიდგენთ კანონით დადგენილ დოკუმენტაციას.

წერილს თან ერთვის:

1. **შპს „თათლი”-ს** დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის – **ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ამოღებული ტყვიის სადნობი** და **დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყოების საწარმოს ექსპლოატაციის პირობების შეცვლასთან გამომდინარე** გზშ ანგარიში - 1 ეგზემპლიარი.
2. „რეზონანსი“ # 273, 2017 წლის 29 ნოემბრის ნომრის გაზეთი.
3. არატექნიკური რეზიუმე;
4. ტექნიკური რეზიუმე;
5. ანგარიშების ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

შპს “ თათლი”-ს დირექტორი,

მენდერეს ონაი, თურქეთი

ტელ: 551 60-61-81

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 21220
“29” 11 2017

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"48-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, წარმოგიდგენთ **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თათლი"ს გარდაბნის რაიონი, სოფელი აღთაკლიაში (ს/კ 81.06.00.333), ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ამოღებული ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყოების საწარმოს ექსპლოატაციის პირობების ცვლილების გზშ-ს ანგარიშს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად.**

ამასთან გაცნობებთ, რომ საწარმოს საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგაიშის საჯარო განხილვის შესახებ, ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო:

„რეზონანსი" # 273, 2017 წლის 29 ნოემბრის ნომრის გაზეთი

საჯარო განხილვა მოეწყო 2018 წლის 25 იანვარს საჯარო განხილვამდე კანონით დადგენილ (45 დღიან) ვადაში დაინტერესებული საზოგადოების მხრიდან შენიშვნები არ შემოსულა.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კონკრეტული შენიშვნები გათვალისწინებულია და ცვლილებები შეტანილია წარმოდგენილ რედაქციაში..ქართ

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თათლი"-ს**, განთავსებული **გარდაბნის რაიონი, სოფელი აღთაკლიაში (ს/კ 81.06.00.333), ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ამოღებული ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყოების საწარმოს ექსპლოატაციის პირობების შეცვლასთან გამომდინარე** საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართი:

1. გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოსაკრებელის დამადასტურებელი ქვითარი;
2. "გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის" დოკუმენტური ვერსია - 5 ეგზ და ელ. ვერსია.;
3. მოკლე ანოტაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ("არტექნიკური რეზიუმეს" სახით).
4. ტექნიკური რეზიუმე - დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო გადაწყვეტილება;
5. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გამოფრქვევათა ნორმების პროექტი - 4 ეგზ;
6. საჯარო განხილვის სხდომის ოქმი;
7. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.
8. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

პატივისცემით,

მენდერეს ონაი, თურქეთი
დირექტორი M. Onay

TATLI LTD

574884616

№1508
07.02.2018

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-117

01/03/2018

ქ. თბილისი

შპს „თათლი“-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „თათლი“-ს მიერ წარმოდგენილია გარდაბნის რაიონის სოფელ აღთაკლიაში, ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

წარმოდგენილი განცხადებითა და თანდართული დოკუმენტაციით დგინდება შემდეგი:

შპს „თათლი”-ს საწარმო მდებარეობს გარდაბნის რაიონის სოფელ აღთაკლიაში (ს/კ 81.06.00.333). აღნიშნული საწარმო წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს, რომელზეც 2016 წელს სააქციო საზოგადოება “ჰეფერ მეთალ დოქუმ სანაი ვე თიჯარეთ”-ს სახელზე გაცემული იყო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, ხოლო 2017 წლის მაისში მოხდა აღნიშნული ნებართვის გადაცემა შპს „თათლი”-ზე.

საწარმოში გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემული იყო ორ მბრუნავ ღუმელზე, რომელთაგან ერთი წარმოადგენდა სათადარიგო ღუმელს, რომელშიც ხორციელდებოდა ტყვიის ჯართისაგან ე.წ. ტყვიის პირველადი სხმულების მიღება, ასევე მიღებული წიდისაგან მეორადი დნობა და შესაბამისად ტყვიის სხმულების მიღება. შპს „თათლი”-ს მიერ განხორციელდა არსებული ორი მბრუნავი ღუმელებიდან ერთის შეცვლა სტაციონარული რევერბერული ღუმელით, სადაც განხორციელდება მხოლოდ ტყვიის ჯართის გამოდნობა, ხოლო მეორე მბრუნავ სათადარიგო ღუმელში განხორციელდება სტაციონარული რევერბერული ღუმელში წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის ხელახალი გამოდნობა.

აღნიშნული ღუმელები იმუშავებენ მონაცვლეობით, კერძოდ სტაციონარული რევერბერული ღუმელის ფუნქციონირებისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის გარკვეული რაოდენობის დაგროვების შემდგომ მოხდება მისი გაჩერება და მბრუნავი ღუმელის ჩართვა და დაგროვილი ტყვიის შემცველი წიდისაგან ტყვიის სხმულების წარმოება.

საწარმოში ასევე განხორციელდა მტვერდამჭერი სისტემის - სახელოებიანი ფილტრების განახლება. ორივე ღუმელი და მისგან გამავალი აირმტვერნარევი ასევე მიერთებული იქნა არსებულ განახლებულ მტვერდამჭერ სისტემაში.

საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 600 მ მანძილზე, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მტკვრი - 500 მ მანძილზე.

ვინაიდან საწარმო წარმოადგენს არსებულ საწარმოს, ტერიტორიის შერჩევის ალტერნატიული ვარიანტების განხილვა არ მოხდა და განხილული იქნა მხოლოდ ტექნოლოგიის შერჩევის ალტერნატიული ვარიანტები.

საწარმოში დანერგილი ტექნოლოგიით ტყვიის აკუმულატორების გამოდნობა მიმდინარეობდა ჯერ შახტურ ღუმელში, ხოლო შემდეგ მიღებული სხმულების გამოდნობა წარმოებდა მბრუნავ ღუმელში. ტექნოლოგიის ალტერნატიული ვარიანტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ეკოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით უპირატესობა მიენიჭა მბრუნავ ღუმელში აღდგენითი პირომეტალურგიული დნობის მეთოდს, ვინაიდან, აღნიშნული მეთოდის საშუალებით ტყვიის ჯართის გამოდნობის შემდგომ მიღებულ წიდაში ტყვიის შემცველობა მცირდება 3%-მდე.

საწარმო იმუშავებს წელიწადში 300 დღეს ორცვლიანი რეჟიმით. ცვლის ხანგრძლივობა იქნება 8 საათი. საწარმოში დასაქმებული იქნება 12 ადამიანი.

საწარმოში გათვალისწინებულია წელიწადში 1240 ტონა მეტალური ტყვიის წარმოება. ამისთვის წელიწადში გადამუშავდება დაახლოებით 1880 ტონა ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული აკუმულატორი.

საწარმოში დამზადებული ტყვიის სხმულები, მის რეალიზაციამდე ინახება მზა პროდუქციის საწყობში. ხოლო დარჩენილი წიდა დროებით საწყობდება სპეციალურ წიდის სასაწყობო შენობაში. წიდის დროებითი დასაწყოების შენობა გადახურულია, იატაკი მობეტონებულია, დაცულია ატმოსფერული ნალექებისა და სანიაღვრე წყლებისაგან. აღნიშნულ საწყობში შესაძლებელია დროებით დასაწყოვებული იქნას 5000 ტონა ტყვიის შემცველი წიდა.

1 ტონა მეტალური ტყვიის მიღებისას საშუალოდ წარმოიქმნება 6-7%, ანუ 64.5 კგ წიდა. შესაბამისად, საწარმოში წლის განმავლობაში მოსალოდნელია დაახლოებით 80 ტონა წიდის დაგროვება. საწარმოში დაგეგმილი ტყვიის დნობის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად წიდაში ტყვიის ოქსიდის შემცველობა არ იქნება 3 %-ზე მეტი.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის პირველ ეტაპზე მოხდება აკუმულატორების დემონტაჟი. ამისათვის დროებითი დასაწყობების ადგილიდან აკუმულატორები გადაიზიდება სადემონტაჟო საამქროში. აკუმულატორების დაშლა მოხდება ხელით და გამოყენებული იქნება სპეციალური დასაჭრელი მოწყობილობები. ამოღებული ტყვიის ფირფიტების, ელექტროლიტური პასტის და ტყვიის სხვა დეტალების განთავსება მოხდება სპეციალურ-დახურულ კონტეინერებში და დასაწყობდება საამქროში, საიდანაც ავტოკარით გადაიზიდება საწარმოო საამქროში მბრუნავ ღუმელებში ჩასატვირთად.

აკუმულატორის მონობლოკების დაშლის შედეგად მიღებული არამეტალური ნარჩენები (პოლიეთილენი, პოლიპროპილენი, პ.ვ.ქ) დახარისხდება სახეობების მიხედვით და ცალ-ცალკე განთავსდება კონტეინერებში. ნარჩენები ასევე დასაწყობდება სადემონტაჟო საამქროში და დაგროვების შესაბამისად გაცემული იქნება შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებზე.

აკუმულატორის დემონტაჟის დროს წარმოქმნილი ქაღალდის ნარჩენები და მინა-ბამბა დაბინძურებულია ტყვიის ოქსიდებით და გასუფთავების გარეშე მათი

ნაგავსაყრელზე გატანა დაუშვებელია. ამიტომ, ისინი ტყვიის ჯართთან ერთად განთავსდება სადნობ ღუმელში. დნობის პროცესში ქაღალდის ნარჩენები დაიწვება, ხოლო მინა-ბამბა გამოილექება წიდასთან ერთად.

წყალი საწარმოში გამოიყენება სასმელ-სამეურნეო, ხანძარსაწინააღმდეგო და საწარმოო მიზნებისათვის. საწარმოს წყალმომარაგება განხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან. სასმელ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება მოხდება საკანალიზაციო სისტემაში.

მოქმედი ჰაერდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, შემუშავებული და გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არის შეთანხმებული ,,ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი''.

აღნიშნული გზშ-ს ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით (ჰაერის, ნარჩენების, ბიომრავალფეროვნების, წყლის, მიწის), რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №8; 22.02.2018 და მიენიჭოს საქმიანობის განხორციელების უფლება შპს „თათლი“-ს ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე (გარდაბნის რაიონი, სოფელი აღთაკლია (ს/კ 81.06.00.333));
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სს ,,ჰეფერ მეთალ დოქუმ სანაი ვე თიჯარეთ''-ის ნარჩენების აღდგენისა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის (ტყვიის აკუმულატორების გადამუშავება და ტყვიის შემცველი წიდის დროებით დასაწყობება) ექსპლუატაციაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 24 ოქტომბრის #ი-538 ბრძანება;
3. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
4. შპს ,,თათლმა“ საქმიანობა განახორციელოს აღნიშნული გადაწყვეტილებით (№8; 22.02.2018) გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით;
   4.1 საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად;
   4.2 უზრუნველყოს ,,ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში'' წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და, შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

4.3 უზრუნველყოს ჰაერის ხარისხის მონიტორინგის წარმოება როგორც საწარმოს ტერიტორიაზე, ისე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.4 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს #211 ბრძანების შესაბამისად შემუშავებული ნარჩენების მართვის გეგმის შესათანხმებლად წარმოდგენა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში. გეგმაში დეტალურად უნდა იყოს განხილული და დაზუსტებული ნარჩენის კოდით 100401* (წიდები-პირველადი ან მეორადი გადადნობიდან) შემდგომი მართვის საკითხები;

4.5 საწარმომ ნარჩენების მართვა უზრუნველყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად.

4.6 სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა და სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსება უზრუნველყოს ,,სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების და ვალდებულებების შესაბამისად;

4.7 უზრუნველყოს ელექტროლიტებისაგან დაცლილი აკუმულატორების მიღება მხოლოდ შესაბამისი ნებართვის/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე ორგანიზაციებიდან;

4.8 იმ შემთხვევაში თუ ნარჩენი კოდით 100401* (წიდები-პირველადი ან მეორადი გადადნობიდან) განკუთვნილია განთავსებისათვის მათი საწარმოს ტერიტორიაზე შენახვა უზრუნველყოს 1 წელზე ნაკლები დროით, ხოლო თუ ნარჩენები განკუთვნილია აღდგენისათვის მათი შენახვა განახორციელოს 3 წელზე ნაკლები დროით;

4.9 საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, უზრუნველყოს გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრა და შესაბამისი პროექტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარმოდგენა;

4.10 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.

5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,თათლი“-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,თათლი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

მწვანე ალტერნატივა
0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
greenalt@greenalt.org

6 მარტი, 2018
04/03-596

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს
ქალბატონ ეკატერინე ბენდელიანს

ქალბატონო ეკატერინე,

გთხოვთ, გადმოგვცეთ შპს „თათლი“-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე” გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 01/03/2018 N 2-117 ბრძანების გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ამსახველი სრული დოკუმენტაციის ასლი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 2144/01
20/03/2018

2144-01-2-201803201757

ა/ო ,,მწვანე ალტერნატივა''-ს აღმასრულებელ
დირექტორს ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მიმდინარე წლის 6 მარტს შემოსული #04/03-596 თქვენი წერილის პასუხად, გიგზავნით თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას. კერძოდ, შპს ,,თათლი''-ს მიერ ამორტიზირებული აკუმულატორებიდან ტყვიის სადნობი და დნობისას წარმოქმნილი ტყვიის შემცველი წიდის დროებითი დასაწყობების საწარმოს (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება) ექსპლუატაციაზე'' გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 1 მარტის #2-117 2018 წლის 1 მარტის ბრძანებას და ამ ბრძანებისთვის გამოცემისთვის ჩატარებულ ადმინისტრაციული წარმოების ამსახველ დოკუმენტაციას:

1. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, განხილვის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია: (შპს„თათლი"-ს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ტექნიკური რეზიუმე, არატექნიკური რეზიუმე, შპს ,,თათლი''-ს წერილი სამინისტროს, ოქმი, სამინისტროს შენიშვნები) – (დანართი 1 – 308 გვერდი)
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაცია: (შპს ,,თათლი''-ს წერილი სამინისტროს, მოხსენებითი ბარათი, შპს„თათლი"-ს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ტექნიკური რეზიუმე, არატექნიკური რეზიუმე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება-მინისტრის ბრძანება) – (დანართი-2-407 გვერდი)

დანართი 715 გვერდი.

პატივისცემით,

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6, ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013

ნანა ჩინჩილაკაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტი